# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 85

„24“ მარტი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, პარკის ტერიტორიაზე მდებარე 18570 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.17.10.010.020) 1195 კვ.მ. საერთო ფართობის რვა მიწის ნაკვეთის და მათზე განთავსებული 8 (რვა) ერთეული ატრაქციონის შპს „გედისთვის" (ს/კ: 400131709) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, პარკის ტერიტორიაზე მდებარე 18570 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.17.10.010.020) 1195 კვ.მ. საერთო ფართობის რვა მიწის ნაკვეთის და მათზე განთავსებული 8 (რვა) ერთეული ატრაქციონის შპს „გედი"-სთვის (ს/კ: 400131709) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 1 მარტის N09.07.148 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, პარკის ტერიტორიაზე მდებარე 18570 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.17.10.010.020) 1195 კვ.მ. საერთო ფართობის რვა მიწის ნაკვეთის (დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით) და მათზე განთავსებული 8 (რვა) ერთეული ატრაქციონის შპს „გედი"-სთვის (ს/კ: 400131709) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

**2.** შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 17 630 (ჩვიდმეტი ათას ექვსასოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. შეთანხმდეს მოიჯარის 24 თვის განმავლობაში საიჯარო ქირის გადახდისაგან გათავისუფლების სახითხი.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ალიბეგაშვილი**